GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Sociology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით;
- ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში (ურბანული, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, შრომისა და ორგანიზაციული სოციოლოგიის).

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს,რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, უცხო ენად აქვს ჩაბარებული ინგლისური.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს ცოდნას სოციოლოგიის საფუძვლებისა და მისი დარგების შესახებ. გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია არსებული თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ; აცნობიერებს პრობლემატიკას და კომპლექსურ საკითხებს სოციოლოგიის სფეროში; ახასიათებს სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს; იცნობს სოციოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ მიგნებებს; იცის სოციოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია; იცნობს სოციოლოგიის კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს (ინტერვიუს სხვადასხვა ფორმა, დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, ფოკუს-ჯგუფები, დაკვირვება და ეთნოგრაფიული კვლევა, დისკურს- ანალიზი, კონტენტ–ანალიზი, ექსპერიმენტი და მასობრივი გამოკითხვა);

უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე ბაკალავრი იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკაში; კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, ბაკალავრი ეძებს და პოულობს ადეკვატურ და ეფექტურ გზებს პრობლემის მოსაგვარებლად; პრაქტიკაში იყენებს პროგრამის ფარგლებში შეძენილ სოციოლოგიური კვლევისათვის აუცილებელ საბაზისო უნარ-ჩვევებს: გეგმავს და ახორციელებს კვლევას ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ,

შეარჩევს საკვლევი პრობლემის შესაბამის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ამუშავებს მიღებულ შედეგებს შესაბამისი პროგრამებისა და საშუალებების გამოყენებით.

ბაკალავრი ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, შეარჩევს პრობლემის გადაწყვეტის გზას და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას; სხვადასხვა წყაროდან იძიებს ინფორმაციას, ამუშავებს მას და გამოქვს ლოგიკური დასკვნები. მას შეუძლია წერილობით და ზეპირი ფორმით გამოხატოს საკუთარ მოსაზრებები სოციოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით; გადმოსცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები; იგი ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას კოლეგებთან, გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს ; კომუნიკაციის პროცესში სწორად იყენებს სოციოლოგიურ ტერმინოლოგიას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

ბაკალავრი სწავლას დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ბაკალავრი მრავალმხრივად და ადეკვატურად აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; იგი მუდმივად ანახლებს საკუთარ ცოდნას სოციოლოგიის სფეროში, შეუძლია სხვისი ზედამხედველობის ქვეშ სოციოლოგიური კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა. იგი მუდმივად ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ. შეუძლია დაგეგმოს თვითგანვითარებისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპობრივად განახორციელოს ისინი.

ბაკალავრი იცავს პროფესიულ ეთიკას საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს კვლევის წარმოება, კოლეგებთან თუ ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობა.

<u>**შედეგებისა და მიზნების რუკა**</u>

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა მიზნად ისახავს 7 შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას. კერძოდ:

შედეგი 1. მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში

ბაკალავრი ერკვევა სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებში (მიკრო და მაკრო სოციოლოგია) და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიურ მიდგომებში. იცნობს სოციოლოგიის კლასიკურ, მოდერნულ და თანამედროვე თეორიებსა და აზროვნების სკოლებს. იცის თითოეული მათგანის ძირითადი იდეა და არგუმენტები, მსგავსებები და განსხვავებები. შეუძლია კრიტიკულად იმსჯელოს აღნიშნული ავტორებისა თუ აზროვნების სკოლების შესახებ.

შედეგი 2. ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში

ბაკალავრს გააჩნია ბაზისური წარმოდგენა სხვადასხვა დარგობრივი სოციოლოგიის შესახებ (მაგ. შრომის, ეკონომიკის, ჯანდაცვის, რელიგიის, გენდერის და ა.შ. სოციოლოგია). იცნობს თითოეული მათგანის სპეციფიკას, დარგში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას და ძირითად აღმოჩენებს, ასევე არსებულ გამოწვევებს. მიღებული ცოდნა წარმოადგენს კარგ საფუძველს კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციისათვის.

შედეგი 3. სოციოლოგიური ანალიზი

პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ ბაკალავრს შეუძლია სოციალურ მოვლენებზე დაკვირვება და მათი სოციოლოგიური ანალიზი. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოვლენების გამომწვევი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის შესახებ მსჯელობას, პროცესებში ჩართული სოციალური ჯგუფების იდენტიფიცირებას და თეორიული აპარატის გამოყენებას როგორც უკვე მომხდარის გასაანალიზებლად, ისე მოვლენების განვითარების საპროგნოზოდ.

შედეგი 4. თვისებრივი კვლევა

ბაკალავრი იცნობს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია თვისებრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე თვისებრივ მონაცემთა ანალიზი. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით სასწავლო პროექტზე.

შედეგი 5. რაოდენობრივი კვლევა

ბაკალავრი იცნობს რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია რაოდენობრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკური პროგრამის გამოყენება. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით სასწავლო პროექტზე.

შედეგი 6. (პროფესიული) კომუნიკაცია

ბაკალავრი იყენებს კომუნიკაციის ინსტრუმენტებს (წერილობითს და ზეპირს). ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გამოყენებით, აფასებს, აანალიზებს, მსჯელობს, ასაბუთებს და იყენებს ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას.

შედეგი 7. ღირებულებები და ეთიკა

ბაკალავრს გააჩნია სწორად ჩამოყალიბებული ღირებულებითი სისტემა. იგი აცნობიერებს კვლევაში ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას, მისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული კეთილსინდისიერება. აცნობიერებს ეთიკურ პრინციპებს და იჩენს მათდამი ერთგულებას ნებისმიერი კომუნიკაციის შემთხვევაში;

აღნიშნული შედეგებისა და მიზნების მატრიცა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მიზნები

შედეგები	როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული - თეორიული და პრაქტიკული - ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით	ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ;	სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში	სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი	ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი	სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები	ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი
შედეგი 1	✔	✔			✔		
შედეგი 2	✔	✔	✔		✔		
შედეგი 3				✔	✔		
შედეგი 4						✔	
შედეგი 5						✔	
შედეგი 6				✔	✔		
შედეგი 7							✔

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სოციოლოგიის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი არის 40%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:
A = 4
B = 3, 2

C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:
საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებში, სადაც მოითხოვება სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა იძლევა ფართო და სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა სოციოლოგიის სფეროში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:
სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამაზე ყველა მიმართულებით (იმ გამონაკლისის გარდა როდესაც არსებობს კონკრეტულ დარგში დიპლომის ფლობის წინაპირობა), რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სოციოლოგიის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:
ანა დიაკონიძე
ასოცირებული პროფესორი
გორგასლის #101
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 170861
e-Mail: a.diakonidze@gipa.ge

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			სავალდებულო ზოგადი საგნები	**25**	**28**								
1.	SSakw103	არ გააჩნია	აკადემიური წერა	4/100								32	68
2.	SSap500	არ გააჩნია	ავტორები და პერსონაჟები	6/150								32	118
3.	SShp501	არ გააჩნია	ისტორიული პიროვნებები	6/150								32	118
4.	SSpkal 107	არ გააჩნია	პრეკალკულუსი	4/100								32	68
5.	SSlog 003	არ გააჩნია	ლოგიკური უნარ-ჩვევები	5/125								32	93
6.	SSfsik111	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები		6/150							42	108
7.	SSsocs114	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში		6/150							42	108
8.	SSfils113	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		6/150							42	108
9.	SSekos112	SSpkal107	ეკონომიკის შესავალი		6/150							42	108
10.	SSsamok109	არ გააჩნია	სამოქალაქო განათლება		4/100							32	68
			ინგლისური ენის საგნები	**5**	**5**	**5**							
1.	SSeng100/ SSeng115	არ გააჩნია/ SSeng102	ინგლისური ენა I/ინგლისური ენა IV	5/125								48	77
2.	SSeng101/ SSeng 116	SSeng101/ SSeng115	ინგლისური ენა II/ინგლისური ენა V		5/125							48	77
3.	SSeng102	SSeng102	ინგლისური ენა III			5/125						48	77
			სპეციალობის სავალდებულო საგნები			**17**	**25**	**25**	**24**	**21**	**25**		
1.	SSclst600	SSsocs114	კლასიკური სოციოლოგიური თეორიები			6/150						42	108
2.	SSsgi602	SSsocs114	სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია			5/125						42	83

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

3.	SSqualrm604	SSsocs114	თვისებრივი კვლევის მეთოდები			6/150						42	108
4.	SSscfr609	არ გააჩნია	სოციალური კონფლიქტები და ოჯახური ურთიერთობები				5/125					42	83
5.	SSgend601	არ გააჩნია	გენდერის სოციოლოგია				4/100					32	68
6.	SSqualprac605	SSqualrm604	თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი				6/150					42	108
7.	SSmst606	SSclst600	მოდერნული სოციოლოგიური თეორიები				6/150					42	108
8.	SSurbsoc613	SSmst606	ურბანული სოციოლოგია				4/100					32	68
9.	SSesoc607	SSsocpol603	ეკონომიკის სოციოლოგია					4/100				32	68
10.	SSpcam615	SSsocs114	პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა					6/150				42	108
11.	SSmst610	SSmst606	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები					6/150				42	108
12.	SSquantrm611	SSqualrm604	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები					5/125				42	83
13.	SShsoc608	SSsocpol603	ჯანდაცვის სოციოლოგია					4/100				32	68
14.	SSworsoc614	SSesoc607	შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია						5/125			32	93
15.	SSsocpol603	SSsocs114	სოციალური პოლიტიკა						6/150			42	108
16.	SSspss527	SSquantrm611	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით						5/125			32	93
17.	SSsieqp619	SSesoc607	სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა						4/100			32	68
18.	SSrsoc617	არ გააჩნია	რელიგიის სოციოლოგია						4/100			32	68
19.	SSmgs618	არ გააჩნია	მიგრაცია და გლობალური პოლიტიკა							6/150		42	108
20.	SSedsoc616	SSsocs114	განათლების სოციოლოგია							5/125		32	93
21.	SSquantpra612	SSquantrm611	რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი							5/125		42	83
22.	SSpsoc621	არ გააჩნია	პოლიტიკური სოციოლოგია							5/125		32	93
23.	SSdarr620	SSspss527	მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება								5/125	32	93
24.	SSbthes622	SSakw103 SSqualprac605 SSquantpra612	სასწავლო პროექტის დიზაინი								6/150	32	118
25.	SSprac623	არ გააჩნია	პრაქტიკა სოციოლოგიაში								4/100	32	68
26.	Ssprsoc624	230 ECTS	დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში								10/250	64	186
			სპეციალობის არჩევითი საგნები			**6**	**6**	**6**	**6**	**5**	**6**		
1.	SSsadm303	არ გააჩნია	სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება			6/150						42	108
2.	SShpsy506	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის ისტორია			6/150						42	108
3.	SSbisn405	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები				6/150					42	108
4.	SSsocpsy510	SSfsik111	სოციალური ფსიქოლოგია 1				6/150					42	108
5.	SSsocpsy511	SSsocpsy510	სოციალური ფსიქოლოგია 2					6/150				42	108
6.	SSsajec411	SSekos112	საჯარო სექტორის ეკონომიკა					6/150				32	118
7.	SSglob310	არ გააჩნია	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია						6/150			42	108
8.	SSorgps525	არ გააჩნია	ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია						6/150			42	108
9.	SSppart214	არ გააჩნია	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემები							5/125		32	93
10.	SSjups526	SSfsik111	დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია							5/125		42	83
11.	SSpsant514	SSfsik111	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია								6/150	32	118
12.	SSdecol700	არ გააჩნია	პოსტკოლონიური და დეკოლონიური მიდგომები								6/150	32	118
			სემესტრში	**30**	**33**	**28**	**31**	**31**	**30**	**26**	**31**		
			წელიწადში	**63**		**59**		**61**		**57**			

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		სავალდებულო ზოგადი საგნები			
1.	Sssamok 109	აკადემიური წერა	X	X	X
2.	SSap 500	ავტორები და პერსონაჟები	X	X	X
3.	SShp 501	ისტორიული პიროვნებები	X	X	X
4.	SSpkal 002	პრეკალკულუსი	X	X	
5.	SSlog 109	ლოგიკური უნარ-ჩვევები	X	X	X
6.	SSfsik111	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
7.	SSsocs114	შესავალი სოციოლოგიაში	X	X	X
8.	SSfils113	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	X	X	
9.	SSekos112	ეკონომიკის შესავალი	X	X	X

10.	SSakw 103	სამოქალაქო განათლება	X	X	X
		ინგლისური ენის კომპონენტი			
1.	Sseng 100	ინგლისური I/ინგლისური IV	X	X	
2.	Sseng 101	ინგლისური II/ინგლისური V	X	X	
3.	Sseng 102	ინგლისური III	X	X	
		სპეციალობის სავალდებულო საგნები			
1.	SSclst 600	კლასიკური სოციოლოგიური თეორიები	X	X	X
2.	SSsgi 602	სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია	X	X	X
3.	SSsocpol 603	სოციალური პოლიტიკა	X	X	X
4.	SSqualrm 604	თვისებრივი კვლევის მეთოდები	X	X	X
5.	Ssgend 601	გენდერის სოციოლოგია	X	X	X
6.	SSqualprac 605	თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი	X	X	X
7.	SSmst 606	მოდერნული სოციოლოგიური თეორიები	X	X	X
8.	SSesoc 607	ეკონომიკის სოციოლოგია	X	X	X
9.	SShsoc 608	ჯანდაცვის სოციოლოგია	X	X	X
10.	SSscfr 609	სოციალური კონფლიქტები და ოჯახური ურთიერთობები	X	X	X
11.	SSmst 610	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	X	X	X
12.	SSquantrm 611	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	X	X	X
13.	SSurbsoc 613	ურბანული სოციოლოგია	X	X	X

14.	SSworsoc 614	შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია	X	X	X
15.	SSpcam 615	პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა	X	X	
16.	Ssquantpra 612	რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი	X	X	X
17.	SSedsoc 616	განათლების სოციოლოგია	X	X	X
18.	SSspss 527	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით	X	X	X
19.	SSmgs 618	მიგრაცია და გლობალური პოლიტიკა	X	X	
20.	Ssrsoc 617	რელიგიის სოციოლოგია	X	X	X
21.	SSsieqp 619	სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა	X	X	
22.	Sspsoc 621	პოლიტიკური სოციოლოგია	X	X	
23.	SSdarr 620	მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება	X	X	X
24.	SSbthes 622	სასწავლო პროექტის დიზაინი	X	X	X
25.	SSprac623	პრაქტიკა სოციოლოგიაში	X	X	X
26.	SSprsoc624	დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში	X	X	X
		სპეციალობის არჩევითი საგნები			
1.	SSsadm303	სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება	X	X	
2.	SShpsy506	ფსიქოლოგიის ისტორია	X	X	
3.	SSbisn405	ბიზნესის საფუძვლები	X	X	X
4.	SSsocpsy510	სოციალური ფსიქოლოგია 1	X	X	X
5.	SSsocpsy511	სოციალური ფსიქოლოგია 2	X	X	X
6.	SSsajec411	საჯარო სექტორის ეკონომიკა	X	X	

7.	SSglob310	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია	X	X	X
8.	SSorgps525	ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია	X	X	
9.	SSppart214	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემები	X	X	
10	SSjups526	დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია	X	X	X
11	SSpsant514	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	X	X	
12	SSdecol700	პოსტკოლონიური და დეკოლონიური მიდგომები	X	X	X

სწავლის შედეგების რუკა 2

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა ოთხდონიანი ცოდნის იერარქია: I, D, A და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგზე გასვლას შესავლის ანუ გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს განვითარებას (Developement), A აღნიშნავს სტუდენტის გაყვანას ოსტატის დონეზე (Advanced), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და განვითარების (DP) ან პრაქტიკისა და ოსტატის (AP) დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, მითითებულია რომელი საგანი რომელი სასწავლო შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. ასევე აღნიშნულია, კონკრეტულად რომელი დონისაა ეს საგანი. თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი. ნიშნულისა სვეტისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

შედეგები

საგანი/ მოდული	მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში	ნიშნული	ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში	ნიშნული	სოციოლოგიური ანალიზი	ნიშნული	თვისებრივი კვლევა	ნიშნული	რაოდენობრივი კვლევა	ნიშნული	პროფესიული კომუნიკაცია	ნიშნული	ღირებულებები და ეთიკა	ნიშნული
აკადემიური წერა											IP	60%		
ავტორები და პერსონაჟები													I	60%
ისტორიული პიროვნებები													I	60%

პრეკალკულუსი									IP	60%				
ლოგიკური უნარ-ჩვევები					I	60%	I	60%	I	60%				
ფსიქოლოგიის საფუძვლები					I	60%								
შესავალი სოციოლოგიაში	I	60%												
შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	I	60%												
ეკონომიკის შესავალი			I	60%	I	60%								
სამოქალაქო განათლება													I	60%
კლასიკური სოციოლოგიური თეორიები	D	70%			D	70%								
სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია	D	70%			D	70%								
თვისებრივი კვლევის მეთოდები							D	70%						
სოციალური კონფლიქტები და ოჯახური ურთიერთობები	D	70%			D	70%								
გენდერის სოციოლოგია			A	60%										
თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი							DP	70%						
მოდერნული სოციოლოგიური თეორიები	D	70%												
ურბანული სოციოლოგია			A	60%										
ეკონომიკის სოციოლოგია			A	60%										

პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა			D	60%	A	60%								
თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	D	70%												
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები									D	70%				
ჯანდაცვის სოციოლოგია			A	60%										
შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია			A	60%										
სოციალური პოლიტიკა					D	60%								
რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით									DP	70%				
სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა					D	60%								
რელიგიის სოციოლოგია			A	60%										
მიგრაცია და გლობალური საზოგადოება					D	60%								
განათლების სოციოლოგია			A	60%										
რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი									AP	70%				
პოლიტიკური სოციოლოგია			A	60%										
მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება									AP	70%	D	65%		

სასწავლო პროექტის დიზაინი											D	65%		
პრაქტიკა სოციოლოგიაში							A	70%	A	70%				
დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში	A	70%	A	70%	A	70%	AP	70%	AP	70%	A	65%	A	65%

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები:

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის 7 შედეგისთვის ნიშნულების შეფასება ხდება საკვანძო საგნებსა და დისციპლინების მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის ინტერპრეტირება არის შემდეგი: პროგრამის შედეგები ფასდება მნიშვნელოვანი და შემაჯამებელი საგნების ერთობლიობით. შერჩეული დისციპლინები აღწევს შედეგს კონკრეტული საგნების დასკვნითი გამოცდის შეფასებით. სამიზნე ნიშნული კი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა ფასდება ცხრილში აღნიშნული დადებითი შეფასებით.

საგანი/ მოდული	მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში	ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში	სოციოლოგიური ანალიზი	თვისებრივი კვლევა	რაოდენობრივი კვლევა	პროფესიული კომუნიკაცია	ღირებულებები და ეთიკა	სამიზნე ნიშნული (ქულები)	სამიზნე ნიშნული (სტუდენტები)

კლასიკური სოციოლოგიური თეორიები	√		√					71%	70%
სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია	√		√					71%	70%
თვისებრივი კვლევის მეთოდები				√			√	71%	70%
სოციალური კონფლიქტები და ოჯახური ურთიერთობები	√		√					71%	70%
გენდერის სოციოლოგია		√						71%	60%
თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი				√			√	71%	70%
მოდერნული სოციოლოგიური თეორიები	√							71%	70%
ურბანული სოციოლოგია		√						71%	60%
ეკონომიკის სოციოლოგია		√						71%	60%
პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა			√					71%	60%
თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	√		√					71%	70%
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები					√			71%	70%
ჯანდაცვის სოციოლოგია		√						71%	60%
შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია		√						71%	60%
სოციალური პოლიტიკა			√				√	71%	60%
რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით					√			71%	70%
სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა			√				√	71%	60%
რელიგიის სოციოლოგია		√						71%	60%
განათლების სოციოლოგია		√						71%	60%
რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი					√			71%	70%
პოლიტიკური სოციოლოგია		√						71%	60%

მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება					√			71%	70%
სასწავლო პროექტის დიზაინი						√		71%	70%

რაც შეეხება დასკვნით სასწავლო პროექტს სოციოლოგიაში, იგი პროგრამის შვიდივე შედეგისთვისაა რელევანტური. ნაშრომის საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ რამდენად მიაღწია სტუდენტმა კონკრეტულ შედეგს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებულია კონკრეტულ შედეგზე რა დონეზე გადის ნაშრომი (პრაქტიკულ (P) თუ ოსტატის (A) დონეზე) და როგორია მისი წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში. პროპორციულად ყველაზე დიდი წილი მოდის პირველ, მესამე და მეოთხე ან მეხუთე შედეგზე. რაც შეეხება სწავლის შედეგების ზოგად სამიზნე ნიშნულებს ისინი ასე გამოიყურება: ქულების სამიზნე ნიშნული - 71% , ხოლო სტუდენტების -70%. რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოლოდინით სტუდენტების 70%-მა დასკვნით სასწავლო პროექტში მინიმუმ 71% ქულა უნდა აიღოს.

საგანი/ მოდული	მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში	ნიშნული	ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში	ნიშნული	სოციოლოგიური ანალიზი	ნიშნული	რაოდენობრივი კვლევა და/ან თვისებრივი კვლევა[5]	ნიშნული	პროფესიული კომუნიკაცია	ნიშნული	ღირებულებები და ეთიკა	ნიშნული
დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში	A	20%	A	20%	A	20%	AP	20%	A	10%	A	10%

[5] დიპლომანტმა შესაძლოა აირჩიოს მხოლოდ თვისებრივი ან მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდი, ისევე როგორც კვლევის შერეული დიზაინი

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ანა დიაკონიძე			
თანამდებობა	სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	(99532) 232 14 67; მობ: (99599) 170 861	ელ-ფოსტა:	a.diakonidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის თემა: შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში - ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა კვლევის სფეროები: შრომისა და ეკონომიკის სოციოლოგია, შრომის თანამედროვე ფორმები, კეთილდღეობის სახელმწიფო გარდამავალ ეკონომიკებში			
პუბლიკაციები				

პუბლიკაციის სათაური	პუბლიკაციის სახე	გამომცემლობა	გამოცემის წელი	რა ენაზეა შესრულებული	მოცულობა
Es Geht um Arbeit" in "Georgien neu Buchstabiert" by Nakhutsrishvili, Heinrich-Boell-Stiftung	სტატია კრებულში	Heinrich-Boell Stiftung	2018	გერმანული	12გვ.
Youth School-to-Work Transition in Georgia	კვლევის ანგარიში	European Training Foundation	2018	ინგლისური	50გვ.
ქართული სამუშაო ძალის ცირკულარული მიგრაციის პოტენციალი ევროკავშირში	კვლევის ანგარიში	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია	2018	ქართული	140გვ.

საერთაშორისო რეიტინგები თუ რეფორმატორთა იდეები: რითი აიხსნება შრომის ბაზრის ლიბერალიზცია საქართველოში?	სტატია აკადემიურ ჟურნალში	ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016	ქართული	15გვ.
Superficial Institutions and Challenges of Re-regulation in the Republic of Georgia,	სტატია აკადემიურ ჟურნალში	Caucasus Survey	2016	ინგლისური	14გვ.
From status-based to needs-based social assistance for internally displaced in Georgia.	სტატია აკადემიურ ჟურნალში	Journal of Social Policy and Social Work in Transition, Vol. 2, Issue 2, December	2011	ინგლისური	19გვ.
შრომა ციფრულ ეკონომიკაში	სტატია კრებულში	ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)	2015	ქართული	13გვ.
Workforce Development – Country Assessment: Georgia	კვლევის ანგარიში	World Bank	2014	ინგლისური	60გვ.
Addressing the needs of locals of Samegrelo-Zemo Svaneti, Georgian foundation for Strategic and International Studies	კვლევის ანგარიში	. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი	2013	ქართული	70გვ.
International Advocacy Coalitions: the role of international actors on domestic policy making „	სტატია კრებულში	European Consortium for Political Research (ECPR)	2016	ინგლისური	16გვ.

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ჯეფრი მორსკი	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა
2.	თინათინ ნორაკიძე	მოწვეული ლექტორი	• სამოქალაქო განათლება
3.	თემურ კობახიძე	მოწვეული ლექტორი	• ავტორები და პერსონაჟები
4.	ნინო ჩარექიშვილი	პროფესორი	• ისტორიული პიროვნებები
5.	მიხეილ ნიკოლეიშვილი	პროფესორი	• პრეკალკულუსი
6.	მაია ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	• ლოგიკური უნარ-ჩვევები
7.	მაია ბარქაია	მოწვეული ლექტორი	• დეკოლონიური პერსპექტივები
8.	ირაკლი იმედაძე	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოლოგიის ისტორია
9.	თეონა მატარაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი სოციოლოგიაში • მოდერნული სოციოლოგიური თეორია • თვისებრივი კვლევის მეთოდები • თვისებრივი კვლევის მეთოდების პრაქტიკუმი • რაოდენობრივი კვლევის მეთოდები • რაოდენობრივი კვლევის მეთოდების პრაქტიკუმი • მიგრაცია და გლობალური საზოგადოება
10.	გიორგი შუბითიძე	ასისტენტი	• შესავალი სოციოლოგიაში • მოდერნული სოციოლოგიური თეორია • თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები • რელიგიის სოციოლოგია

11.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში • პოლიტიკური სოციოლოგია
12.	ოთარ ქოჩორაძე	მოწვეული ლექტორი	• საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა
13.	ელისაბედ სოფრომაძე	ასისტენტი	• საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა
14.	თინათინ ქავთარაძე	მოწვეული ლექტორი	• აკადემიური წერა
15.	ხატია ნადარაია	მოწვეული ლექტორი	• კლასიკური სოციოლოგიური თეორიები • სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა
16.	მარეხ დევიძე	ასისტენტი	• სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია • სოციალური კონფლიქტები და ოჯახური ურთიერთობები
17.	მერაბ კაკულია	პროფესორი	• ეკონომიკის შესავალი
18.	ანა დიაკონიძე	ასოცირებული პროფესორი	• სოციალური პოლიტიკა • ეკონომიკის სოციოლოგია • შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია
19.	ნარგიზა არჯევანიძე	მოწვეული ლექტორი	• გენდერის სოციოლოგია
20.	ნინო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის სოციოლოგია
21.	თათია ქართლელიშვილი	ასისტენტი	• ურბანული სოციოლოგია • სასწავლო პროექტის დიზაინი
22.	რატი შუბლაძე	ასისტენტი	• რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით • მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება
23.	კახა ქეცბაია	მოწვეული ლექტორი	• განათლების სოციოლოგია
24.	თინათინ ჩხეიძე	ასოცირებული პროფესორი	• სოციალური ფსიქოლოგია 1 • სოციალური ფსიქოლოგია 2
25.	დავით ჩარკვიანი	მოწვეული ლექტორი	• ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია

26.	გიორგი ხომერიკი	მოწვეული ლექტორი	• გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია
27.	გიორგი თურქია	პროფესორი	• ბიზნესის საფუძვლები
28.	ვახტანგ ნადარეიშვილი	მოწვეული ლექტორი	• დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია
29.	თინათინ ხომერიკი	ასისტენტი	• ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია
30.	ნათია კუტივაძე	ასოცირებული პროფესორი	• საჯარო სექტორის ეკონომიკა
31.	ქეთევან მაისურაძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები
32.	მარიამ ალანია	ასისტენტ პროფესორი	• ფსიქოლოგიის საფუძვლები
33.	რევაზ ჯორბენაძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა